ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1825532

ნომერი: AR1296874

თარიღი : 25.03.2015

გაცემის თარიღი : 14.04.2015

გაცნობის თარიღი : 15.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდამაყარი , N 4 , (ნაკვეთი 04/022) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მზია დაუშვილი პ/ნ 01019001847
- თბილისი ნაგომარის ქ. N 21

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.06.2011 წ. #803 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე
მოქ. მზია დაუშვილმა (თანაგამცხადებელი ივანე ბიბილაშვილი) 25.03.2015 წ. #AR1296874 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 09.06.2011 წ. #803 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 09.06.2011 წ. ქ. თბილისში, გუდამაყრის ქ. #4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.12.07.004.022 ფართობი 1800 კვ.მ.), საგანმანათებლო დაწესებულების (სკოლა) და სპორტული მოედნის ასაშენებლად დამტკიცდა #803 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 09.06.2011 წ. #803 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში

ცვლილების შეტანას საპროექტო ობიექტის ფუნქციაში შეცვლასთან დაკავშირებით, კერძოდ: საგანმანათებლო დაწესებულების (სკოლა), სპორტული მოედნის და საკადასტრო გეგმაზე მითითებული #01/2 შენობის რეკონსტრუქციის (მიშენება–დაშენება, საგანმანათებლო დაწესებულება - სკოლა) დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება09.06.2011 წ. #803 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.06.2011 წ. #803 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტში დაფიქსირდეს: საგანმანათებლო დაწესებულება (სკოლა), სპორტული მოედნი და საკადასტრო გეგმაზე მითითებული #01/2 შენობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენება, საგანმანათებლო დაწესებულება - სკოლა);
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.06.2011 წ. #803 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს შენიშვნის სახით დაემატოს:საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობის მდგადობის შესახებ;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09.06.2011 წ. #803 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.